

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ჩასატარებელი  
ფესტივალების საგრანტო კონკურსი**

**მუხლი 1. ფესტივალების საგრანტო კონკურსის მიზნები**

ფესტივალების საგრანტო კონკურსის მიზნებია:

- ა) კულტურისა და ხელოვნების სფეროების განვითარებაზე ორიენტირებული ფესტივალების მხარდაჭერა;
- ბ) უნიკალური, ავთენტური, საერთაშორისო მასშტაბით კონკურენტუნარიანი კულტურის ღონისძიების მხარდაჭერა;
- გ) კულტურის პოტენციალის წარმოჩენა და რეგიონის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება;
- დ) რეგიონის ცნობადობის ამაღლება და პოპულარიზაცია.

**მუხლი 2. ფესტივალების საგრანტო კონკურსის პირობები**

1. გრანტი ფესტივალების საგრანტო კონკურსის ფარგლებში, საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, გაიცემა ღია კონკურსით შერჩეულ ბენეფიციარებზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ჩასატარებელი ფესტივალისთვის.
2. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს (გარდა საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტისა, სახელმწიფოს ბიუჯეტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის ან მუნიციპალურ დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციისა).
3. სამინისტროში განაცხადების მიღება იწარმოებს 2020 წლის 6 თებერვლიდან 6 მარტის 15 საათამდე;
4. საკონკურსო დოკუმენტაცია სამინისტროში წარმოდგენილი უნდა იყოს სახელმწიფო (ქართულ) ენაზე.
5. საგრანტო კონკურსის ფარგლებში საგრანტო განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს მატერიალური ან ელექტრონული ფორმით (PDF ვერსია, ელ. ფოსტის მისამართი: [administracia@moecs.ge](mailto:administracia@moecs.ge)) და დარეგისტრირდეს სამინისტროს კანცელარიაში (საკონკურსოდ შემოტანილი მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ). წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებელია კონკურსანტი.
6. საგრანტო კონკურსის ფარგლებში ერთ კონკურსანტს შეუძლია მხოლოდ ერთი საგრანტო განაცხადის წარმოდგენა. ამასთანავე, წლის განმავლობაში კონკურსანტი გრანტს მიიღებს მხოლოდ ერთხელ. აღნიშნული მოთხოვნის გაუთვალისწინებლად წარმოდგენილი განაცხად(ებ)ი არ განიხილება.
7. საგრანტო განაცხადებს იხილავს, წინასწარ დამტკიცებული კრიტერიუმების საფუძველზე აფასებს და საგრანტო კონკურსში გამარჯვებულს გამოავლენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით შექმნილი საგრანტო კომისია.
8. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ კონკურსანტს ეცნობება საგრანტო განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 30 სამუშაო დღის ვადაში.

9. საგრანტო კონკურსის პირობებით მოთხოვნილი დოკუმენტაციის არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში საგრანტო განაცხადი არ განიხილება.
10. საგრანტო კონკურსის 2020 წლის ბიუჯეტი განსაზღვრულია **381 300** ლარით.
11. საკონკურსო ბიუჯეტში არასაკმარისი ფინანსური რესურსის შემთხვევაში დაფინანსდება უმაღლესი შეფასების მქონე საგრანტო განაცხადები.
12. ერთი ფესტივალის განხორციელებისათვის გრანტი გაიცემა არაუმეტეს 60 000 ლარის ოდენობით.
13. საგრანტო კომისია უფლებამოსილია იმსჯელოს წარმოდგენილი საგრანტო განაცხადით გათვალისწინებული ფესტივალის ბიუჯეტის კორექტირების საკითხზე და დაუბრუნოს კონკურსანტს დაზუსტების მიზნით, რისთვისაც განსაზღვრება გონივრული ვადა.
14. საჭიროების შემთხვევაში საგრანტო კომისია უფლებამოსილია მოითხოვოს გასაუბრება კონკურსანტებთან.
15. სამინისტროდან მოთხოვნილი ადმინისტრაციული/საორგანიზაციო პერსონალის შრომითი ანაზღაურების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სამინისტროდან მოთხოვნილი სრული თანხის 20 %-ს.
16. სამინისტროდან მიღებული გრანტის არანაკლებ 5 % გამოყენებულ უნდა იქნეს გრანტით დაფინანსებული ფესტივალის პიარ-კამპანიისთვის/სტრატეგიისთვის. აღნიშნული მიმართულებით უნდა დამზადდეს და ფესტივალის დასრულების შემდეგ სამინისტროს მოეწოდოს ფესტივალის საიმიჯო ვიდეო-რგოლი, რომელიც მიმართული იქნება ფესტივალის ცნობადობის გაზრდისკენ (საიმიჯო ვიდეო-რგოლზე უნდა იქნეს დატანილი სამინისტროს ლოგო ან/და სხვა ინფორმაცია, რაც ადასტურებს სამინისტროს მონაწილეობას ფესტივალის დაფინანსების/თანადაფინანსების ნაწილში). PR-ის საკომუნიკაციო არხებად აუცილებელია გამოყენებულ იქნეს: ტელევიზია, რადიო და სოციალური ქსელი, ფესტივალისთვის უნდა შეიქმნას ბიზნეს გვერდი (ასეთის არ არსებობის შემთხვევაში) და აღნიშნული ფინანსური რესურსი გამოყენებულ იქნას წარმოდგენილი ბიზნეს გვერდით ინფორმაციის ბუსტინგისთვის.
17. საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი ფესტივალი უნდა დაიწყოს არაუადრეს 2020 წლის 15 აპრილისა და დასრულდეს არაუგვიანეს 2020 წლის 20 ნოემბრისა;
18. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული ხარჯის შესაბამისად, წარმოდგენილი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მიხედვით.

### **მუხლი 3. წარმოსადგენი დოკუმენტაცია**

ფესტივალების საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. საგრანტო განაცხადი;
2. პორტფოლიო \_ CD/ მეხსიერების ბარათი წინა წლებში ფესტივალების მიმდინარეობის ამსახველი აუდიო-ვიზუალური მასალით (ეხებათ იმ კონკურსანტებს, რომლებსაც აქვთ ფესტივალების ჩატარების გამოცდილება);
3. სარეკომენდაციო წერილი;
4. ფესტივალის მარკეტინგული გეგმა;
5. ფესტივალის PR გეგმა;

6. ფესტივალის სამომავლო განვითარების გეგმა/სტრატეგია;
7. ფესტივალის სრული ბიუჯეტი;
8. სამინისტროსგან მოთხოვნილი თანხის ბიუჯეტი, ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელ დოკუმენტებთან ერთად (ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული დასახელების სამუშაოს/მომსახურების/საქონლის ერთეულის ღირებულება არის 500 ლარი ან მეტი. თითოეულ პუნქტზე წარმოდგენილი უნდა იყოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი არანაკლებ ორი დოკუმენტი (ავტორიზებული ინვოისი, ინტერნეტ-რესურსი და სხვა);
9. თანადაფინანსების არსებობის შემთხვევაში აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი;
10. ნებართვა ფესტივალის ჩატარების ადგილის დათმობის შესახებ (საჭიროების შემთხვევაში);
11. განახლებული ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
12. ცნობა ბიუჯეტში დავალიანების არქონის შესახებ.

#### **მუხლი 4. ანგარიშსწორების წესი**

1. ანგარიშსწორება გრანტის მიმღებთან განხორციელდება საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
2. წინასწარი ანგარიშსწორება დასაშვებია მხოლოდ საბანკო გრანტიის წარმოდგენის საფუძველზე, ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 70 %-ის ოდენობით, ხელშეკრულებით დადგენილი წესით.
3. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ავანსად მიღებული თანხის მიზნობრივი ხარჯვისა და დარჩენილ თანხაზე (30%) აღებული ვალდებულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.
4. სამინისტროს მიერ ანაზღაურდება კონკურსანტის გამარჯვებულად გამოვლენის (ბრძანების გამოცემის) შემდეგ გაწეული ხარჯები.
5. ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის პუნქტებს შორის თანხის გადატანა (ცვლილება) შესაძლებელია სამინისტროდან მიღებული გრანტის არაუმეტეს 15% ოდენობით.
6. ხელშეკრულების პროგრამულ აღწერილობაში ცვლილების შემთხვევაში (ღონისძიების თარიღის ცვლილება) გრანტის მიმღები ვალდებულია, აღნიშნული საკითხი წინასწარ წერილობით შეათანხმოს გრანტის გამცემთან.
7. ფესტივალი დასრულებულად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც გრანტის მიმღები, სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, წარმოადგენს საბოლოო პროგრამულ და ფინანსურ ანგარიშს, ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციასთან ერთად.
8. ზემოაღნიშნულის წარმოუდგენლობის შემთხვევაში გაცემული გრანტი ექვემდებარება დაბრუნებას.
9. მიღებული გრანტის საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად ხარჯვასა და აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია გრანტის მიმღები.